ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საერთაშორისო სამართლის სასწავლო და სამეცნიერ–კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომ „ინსტიტუტი“) არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული.

1.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობას წარმართავს დებულების მიხედვით. დებულებას იღებს იურიდიული ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინების საფუძველზე და ამტკიცებს თსუ-ს წარმომადგენლობათა საბჭო.

1.3. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილება-დამატების შეტანა შესაძლებელია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

1.4. იურიდიული ფაკულტეტის დეკანატი და აკადემიური საბჭო განსაზღვრავს და წარმართავს ფაკულტეტის საშინაო და საგარეო საქმიანობას, სასწავლო და სამეცნიერო კვლევით მუშაობას მიმართულებით: „საერთაშორისო სამართალი“, რომელიც წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სისტემას, რაც აისახება ამ მიმართულებით სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროგრამების სპეციფიკაში.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, დანიშნულება და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2.1 დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ურთიერთობების შიდა და საზღვარგარეთული ორგანოების კვალიფიცირებული და მაღარკვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფა;

2.2 საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციით მოსწავლე ყველა დონის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტის თანამედროვე

საერთაშორისო სამართლის უახლესი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვა;

2.3. საერთაშორისო სამართლის უმაღლესი აკადემიური ხარისხის – სამართლის დოქტორის – მქონე პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება;

2.4. საქართველოსა და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრთა პრაქტიკიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემების მეცნიერული ანალიზი – განზოგადება – რაც ყველა დონის სტუდენტის სასწავლო პროგრამებში უნდა აისახოს;

2.5. საქართველოს საგარეო ურთიერთობების შიდა ორგანოთა (პარლამენტი, საგარეო საქმეთა, იუსტიციის და სხვა სამინისტროები) თხოვნით საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების და დოკუმენტების ანალიზისა და რეკომენდაციების მიწოდება.

მუხლი 3. განათლების სამსაფეხურიანი ეტაპები

3.1. ინსტიტუტი ახორციელებს სპეციალისტთა მომზადებას სამსაფეხურიანი პროცესის შესაბამისად – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

მუხლი 4. ბაკალავრიატში სასწავლო პროცესის ეტაპები

4.1. პირველ ორ კურსზე (I-IV სემესტრი) ინსტიტუტის სტუდენტები სწავლობენ საბაზისო იურიდიული განათლებისთვის სავალდებულო საგნებს, მათ შორის საერთაშორისო სამართალს.

მესამე-მეოთხე კურსებზე (V-VIII სემესტრი) ინსტიტუტის სტუდენტები დაიტვირთებიან საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციით ნაკარნახევი საგნებით, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საბაზისო იურიდიული საგნების ნახევარს, ხოლო ოთხივე კურსის საერთო-სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანთა ერთ მესამედს.

5. ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებები

5.1. ინსტიტუტის შემადგენლობაში ფუნქციონირებს ორი საპროფესორო – საერთაშორისო (საჯარო) სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართლის საპროფესორო (კათედრები), რომლებიც უძღვებიან შემდეგ მიმართულებებს:

საერთაშორისო სამართლის თეორიული პრობლემები;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

დიპლომატიური სამართალი და დიპლომატიური პროტოკოლი;

საერთაშორისო საზღვაო სამართალი;

საერთაშორისო საზღვაო კერძო სამართალი;

საერთაშორისო საჰაერო სამართალი;

საერთაშორისო სისხლის სამართალი;

ლტოლვილთა და მიგრანტების საერთაშორისო სამართალი;

ევროპის კავშირის საჯარო სამართალი;

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;

საერთაშორისო სახელშეკრულები სამართალი;

საერთაშორისო საკონსულო სამართალი.

ეს ნუსხა შეიძლება შეიცვალოს ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

5.2. ინსტიტუტი უფლებამოსილია პერიოდულად ჩაატაროს საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციები, სემინარები თუ სხვა სახის შეხვედრები, სადაც მოწვეულ მეცნიერებთან ერთად ინსტიტუტის თანამშრომლების ჩატარებული კვლევების შედეგებს წარმოაჩენენ.

5.3. ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან.

5.4. ინსტიტუტი ჩატარებული კვლევების შედეგებს სისტემატურად აქვეყნებს საჯაროდ.

მუხლი 6. ინსტიტუტის სტრუქტურა

6.1. ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიან - ხელმძღვანელი (დირექტორი), ინსტიტუტის წევრები (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები), აღმასრულებელი მდივანი (მთავარი სპეციალისტი) და საქმის მწარმოებელი (მთავარი სპეციალისტი).

მუხლი 7. ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი

7.1 აღმასრულებელი მდივანი აირჩევა ინსტიტუტის საბჭოს მიერ 2 წლის ვადით ამ დებულების შესაბამისად.

7.2 აღმასრულებელი მდივნის ფუნქციები:

ა) კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის და იურიდიული ფაკულტეტის დეკანატს შორის თანამშრომლობას ინსტიტუტის სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი გეგემების შემუშავების პროცესს.

ბ) უზრუნველოყფს და კონტროლს უწევს მიღებული გეგემების რეალიზაციის მსვლელობას.

გ) ამზადებს საბჭოს სხდომაზე გასატანი საკითხების სათანადო დოკუმენტაციას.

დ) კონტროლს უწევს და უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციას.

ე) ორგანიზებას უწევს სასწავლო და სამეცნიერო პროექტების დაფინანსების მოპოვებას.

მუხლი 8. ინსტიტუტის ხელმძღვანელი (დირექტორი)

8.1. ინსტიტუტის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტის საორგანიზაციო საქმიანობას; ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან ერთად დირექტორი ხელმძღვანელობას უწევს ასევე ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას;

ბ) იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს მიერ განსაზღვრულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს;

გ) ხელს უწყობს ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადებას და მათ კვალიფიკაციის ამაღლებას;

ე) ორგანიზებას უწევს სახელმძღვანელოთა და სამეცნიერო გამოკვლევათა გამოქვეყნებას;

ვ) ინსტიტუტის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს ინსტიტუტის თანამშრომელთა საშტატო ნუსხას, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელლმძღვანელს;

ზ) წარმოადგენს ინსტიტუტს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

მუხლი 9. ინსტიტუტის საბჭო

9.1. ინსტიტუტის ხელმღძვანელი და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ინსტიტუტში მოღვაწეობს, ქმნის ინსტიტუტის საბჭოს.

9.2. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს უფლება აქვს ხმათა უმრავლესობით საბჭოს წევრად აირჩიოს სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

9.3. ინსტიტუტის საბჭოს საქმიანობას წარმართავს ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

9.4. საბჭო განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სასწავლო და სამეციერო-კვლევით განვითარების საკითხებს, კერძოდ:

ა) განიხილავს და განსაზღვრავს ინსტიტუტის საქამიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო გეგმებს და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებს;

გ) განიხილავს ინსტიტუტის სტრუქტურის შეცვლის, აგრეთვე, საკვლევ სამუშაოთა ჩასატარებლად განსაზღვრული სახსრების მოძიების და გამოყენების საკითხებს;

დ) განიხილავს სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს;

ე) განიხილავს ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ეფექტურობის საკითხებს, უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევების მიმდინარეობას, ისმენს და განიხილავს ინსტიტუტის თანამშრომელთა ანგარიშებს უცხოეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ;

თ) იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის დაარსების (გაუქმების) შესახებ, შეარჩევს ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებს და პერიოდულად ისმენს მათი მუშაობის ანგარიშს;

ი) წარადგენს ღირსეულ მეცნიერთა შრომებს პრემიებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად;

კ) ადგენს კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზანშეწონილობის საკითხებს;

ლ) გადაწყვეტილებას იღებს ინსტიტუტში პირის გაწევრიანებასთან დაკავშირებით;

მ) უფლებამოსილია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო აქტივობასა და საქმიანობას შეეხება;

9.5. ინსტიტუტის საბჭოს სხდომებს წარმართავს ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

9.6. ინსტიტუტის საბჭო ულებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მირებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. საბჭო საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით, თუ საგანგებოდ არ დადგინდა ფარული კენჭისყრის აუცილებლობა. საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ინსტიტუტის ხელმძღვანელობისათვის.

9.7. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და აღმასრულებელი მდივანი.

9.8. საბჭო თავად განსაზღვრავს აღმასრულებელი მდივნის კანდიდატურას ღია კენჭისყრით დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით და თანხმობის

შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი გადასცემს ამ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად.

მუხლი 10. ინსტიტუტის დირექტორის (ხელმძღვანელი) თანამდებობის დაკავების წესი

10.1. ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ირჩევს ინსტიტუტის საბჭო 9.8 მუხლის წესის მიხედვით. არჩეულ კანდიდატს, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ინსტიტუტის ხელმძღვანელად შეიძლება გამწესებულ იქნეს თსუ იურიდიული ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არის ინსტიტუტის წევრი. დირექტორი ინიშნება 1 წლის ვადით.

10.2. ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ისევე როგორც ინსტიტუტის სხვა პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება. ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება თსუ-სტან დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 11. მოწვეული სპეციალისტი

11.1. ინსტიტუტს შეუძლია, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანხმობით მოიწვიოს ლექცია-სემინარების ჩასატარებლად კონკრეტულ სფეროში მომუშავე პირი საათობრივი ანაზღაურების საფუძველზე, რაც განისაზღვრება თსუ-სა და სპეციალისტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 12. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა

12.1. ინსტიტუტის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

12.2. ინსტიტუტის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შემდეგ მისი ქონება რჩება თსუ-ს.